

## ესსეები

როგორ ჩამოვყალიბოთ წერიტი დავალება ესსეების ან სხვა ტიპის დავალებების სახით

### **რა არის ესსე?**

- ესსე შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც თხზულების ფორმა, რომელიც წარმოადგენს (გადმოსცემს) გავრცელებულ საერთო აზრს ან ავტორის (სტუდენტის) მოსაზრებებს ამა თუ იმ კონკრეტული საკითხის, მოვლენის, ფაქტის, აზრის შესახებ.
- ესსეს უპირატესობა თხზულების სხვადასხვა ფორმებთან შედარებით არის ის, რომ ესსე შეიძლება დაიწეროს ერთი კონკრეტული საკითხის შესახებ (და არა აუცილებლად დიდი თემის). ესსე უნდა შეიცავდეს საორიენტაციო კითხვების პაკეტს, რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ.
- მოკლე ესსეების წერა, ერთი მხრივ, ხელს უწყობს წერიტი კომუნიკაციის, ანალიზისა და კრიტიკული აზროვნების უნარის გამომუშავებას, მეორე მხრივ, საშუალებას იძლევა მცირე დროში (მეცადინეობებზე) ან პრაქტიკულად დროის დანაკარგის გარეშე (თუ ეს საშინაო დავალებაა), შე ერთდროულად შემოწმდეს რამდენიმე სტუდენტი ან მთელი ჯგუფის ცოდნის დონე ყოველი კონკრეტული საკითხის შესახებ.
- სასურველია მიუთითოთ ესსეში სიტყვების რაოდენობა.
- ნებისმიერი ტიპის დავალება, ისე როგორც ესსეს დავალება (სპეციფიკური დავალებების გარდა) უნდა ისახავდეს კონკრეტულ ამოცანას და, შესაბამისად, იყოს კონკრეტული, გასაგები ენით ჩამოყალიბებული. აუცილებლად უნდა შეიცავდეს საორიენტაციო კითხვების ან დავალებების პაკეტს, რომელიც გაუადვილებს სტუდენტს მის შესრულებას.
- კითხვები უნდა ჩამოყალიბდეს იმის გათვალისწინებით, თუ რის წარმოჩენას და განვითარებას ისახავთ მიზნად. მაგალითად, კრიტიკული აზროვნების ანალიზის უნარის გამოვლენა-განვითარება, პრობლემის ხედვა, სიახლის შემოტანა და ა.შ.

### **შეკითხვების ჩამოყალიბების ძირითადი კრიტერიუმები**

- დასმული კითხვების შინაარსი სრულ შესაბამისობაში უნდა იყოს შესწავლილ მასალასთან.
- შეკითხვა არ უნდა იყოს ორაზროვანი, ბუნდოვანი.
- შეკითხვამ უნდა “აიძულოს” სტუდენტი გამოავლინოს ის ცოდნა და უნარი, რომელსაც ისახავთ მიზნად, ანუ კითხვების იერარქია უნდა ქმნიდეს ერთგვარ ალგორითმს დასმული ამოცანის გადასაწყვეტად.

კერძოდ, თუ თქვენი ამოცანაა შეამოწმოთ ან განავითაროთ კანონების განხილვისა და კრიტიკული ანალიზის უნარი, დასმულმა შეკითხვამ პიდაპირ თუ ირიბად უნდა მიანიშნოს სტუდენტს გაეცნოს საქართველოსა და სხვა ქვეყნების ამა თუ იმ კონკრეტულ კანონს. მაგალითად, “რა საერთოსა და განსხვავებას ხედავთ საქართველოს შრომის კანონის კოდექსის IV თავის 43-ე მუხლსა და აშშ შესაბამისი კანონის შესაბამის ნაწილს შორის” ან „ორივე კანონიდან გამოყავით ხარვეზები და ჩამოაყალიბეთ კანონის თქვენეული ვარიანტი“.

## დავალებების და კითხვების პაკეტების საორიენტაციო მოდელები

- დასახელებული ლიტერატურის მიხედვით გააანალიზეთ რა დამოკიდებულება ჰქონდა რუსეთის მეფის კარს ერეკლეს თხოვნის მიმართ 17—17—წლებში? როგორ ახსნით ერეკლეს სიტყვებს რა შთაბეჭდილება გრჩებათ რუსეთის მეფის წერილიდან, რომელიც გამოუგზავნა ერეკლეს 17—წელს.
- განსაზღვრეთ და გააანალიზეთ მართვის თანამედროვე პრინციპების არსი. როდის და რამ განაპირობა მართვის სისტემის შექმნის აუცილებლობა? რა მოვლენები მიგაჩნიათ საეტაპოდ მართვის პრინციპების ფორმირების პროცესში (ისტორიულ ჭრილში)? თანამედროვე მართვის რომელ პრინციპს ამოიღებდით პრაქტიკიდან და რომელს დაუმატებდით, რატომ?
- წარმოდგენილი პრეს-რელიზის (პრეს-რელიზი წინასწარ უნდა დარიგდეს) მიხედვით, განსაზღვრეთ რამდენად შეიძლება მოცემული ინფორმაცია განვიხილოთ ახალ ამბად, რატომ? აქედან გამომდინარე, ჩამოაყალიბეთ სამი-ოთხი შეკითხვა პრეს-რელიზის მიმართ. დაასახელეთ სამი-ოთხი წყარო, საიდანაც მოიპოვებდით დამატებით ინფორმაციას.

## პროექტი\*

საპროექტო სამუშაო ერთ-ერთი ყველაზე უფრო საინტერესო პრაქტიკული აქტივობაა, რომელშიც სტუდენტები ავლენენ კვლევისა და კრიტიკული აზროვნების უნარს. პროექტის შედგენა წარმოადგენს საკითხის საფუძვლიანი შესწავლის საშუალებას. პროექტი შეიძლება იყოს რამდენიმე ტიპის.

1. რეპორტი \_ სტუდენტები აგროვებენ ინფორმაციას წიგნებიდან, ჟურნალებიდან, სხვა წყაროებიდან.
2. აღმოჩენა, რომლის დროსაც სტუდენტები იყენებენ საკუთარი ექსპერიმენტის, დაკვირვების და პრაქტიკული ღონისძიებების შედეგებს, რათა უპასუხონ ერთ გარკვეულ შეკითხვას ან გამოკვეთონ ერთი კონკრეტული პრობლემა.
3. ზემოთ ხსენებული ორივე ტიპის კომბინაცია.

პროექტი შეიძლება იყოს ინდივიდუალური ან ჯგუფური. ამ უკანასკნელის შემთხვევაში, თითოეულ წევრს უნდა დაეკისროს გარკვეული პასუხისმგებლობა. აგრეთვე, უნდა შეირჩეს პიროვნება, რომელიც ორგანიზებას გაუკეთებს შეხვედრებს და კოორდინაციას გაუწევს მიმდინარე მუშაობას. პასუხისმგებლობა დაეკისრებათ სტუდენტებს და მიეცემათ დამოუკიდებელი მუშაობის საშუალება ინდივიდუალურ პროექტებზე, მუშაობის მსგავსად.

### ა) პროექტის სათაური

სტუდენტებმა ზუსტად უნდა იცოდნენ თუ რის შესახებ იქნება პროექტი. შინაარსის შესაფერისი და საინტერესოდ მოფიქრებული სათაური მნიშვნელოვანია წარმატების მისაღწევად. პროექტის შერჩევასას მასწავლებელი უნდა ითვალისწინებდეს სტუდენტის ცოდნის დონესა და უნარ-ჩვევებს. მათ არ უნდა მოეთხოვებოდეთ ისეთ პროექტზე მუშაობა, რაც მათ ცოდნასა და

შესაძლებლობებს აღმატება, განსაკუთრებულად დახვეწილ დაგეგმვას მოითხოვს, ან გრძელსა და რთულ ექსპერიმენტს წარმოადგენს.

ზოგიერთ შემთხვევაში სტუდენტებს შეიძლება არ ჰქონდეთ საკმარისი ცოდნა და უნარ-ჩვევა, მაგრამ მისი შემენა განსაკუთრებულ სირთულეს არ წარმოადგენს (მაგალითად, არ იცოდნენ თუ როგორ მოიპოვონ ესა თუ ის სარესურსო მასალა თემისათვის). ამ შემთხვევაში მასწავლებელი სტუდენტებს აძლევს სათანადო რეკომენდაციას.

\* შენიშვნა: ეს პარაგრაფი მომზადდა დოცენტ მარინა ჯაფარიძის ავტორობით.

### **ბ) გაძღოლა და თვალყურის დევნება**

მასწავლებლის მიერ თვალყურის დევნება და რჩევა –დარიგების მიცემა სტუდენტებისათვის აუცილებელია. ეს ურთიერთობები ძალიან ეხმარება პროექტის წარმატებით განხორციელებას. იმისათვის, რომ სტუდენტები სწორ გზას დაადგინონ, მასწავლებელმა, პროექტის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, დროული და შესაფერისი წინამძღოლის როლი უნდა იტვირთოს, მაგალითად:

- მიაწოდოს საჭირო დამატებითი საკითხავი და საცნობარო ლიტერატურა
- მიუთითოს - სად შეიძლება ამა თუ იმ ინფორმაციის მოპოვება
- მიუთითოს - რომელ ორგანიზაციაში შეძლებენ სათანადო ინფორმაციის მოპოვებას
- აუხსნას გამოკვლევისთვის საჭირო მეთოდი და საექსპერიმენტო პროექტი
- მიუთითოს რა ხელსაწყოები და რა მასალაა საჭირო გამოკვლევისათვის
- აუხსნას, ახლავს თუ არა პროექტს სიცოცხლისათვის სახიფათო რამ და არის თუ არ, საჭირო სიფრთხილე
- აუხსნას თუ როგორ იკრიბება ინფორმაცია
- აუხსნას, როგორ ხდება მოპოვებული ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი
- მიუთითოს, რომ შეიძლება დაშვებულ იქნას შეცდომა, ასევე რამდენად სანდოა მოპოვებული ინფორმაცია
- აუხსნას, როგორ ხდება დასკვნების გამოტანა მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე
- მიუთითოს რა პირობებში აქვს ამ დასკვნებს ფასი, ღირებულება.

### **გ) წერილობითი გაფორმება**

როდესაც კვლევის დიდი ნაწილი შესრულებულია, უნდა დაიწყოს პროექტის წერილობითი გაფორმება \_ სათაურის, სახელების და შემსრულებელ პირთა მითითებით. პროექტის შესავალში დასაბუთებული უნდა იქნას მოტივაცია (რატომ იქნა არჩეული ეს თემა), მიზანი, აქტივობები, შედეგები და დასკვნები (მოკლე თეზისების სახით). ძირითად ნაწილში გადმოცემული იქნება თემა, რომლის სტრუქტურასაც თვითონ განსაზღვრავს პროექტის შემსრულებელი, მასწავლებლის კონსულტაციების გათვალისწინებით. დეტალურად უნდა აღიწეროს პროცესი, შედეგები და დასკვნები. პროექტს თან უნდა ახლდეს გამოყენებული ლიტერატურის სია.

### **დ) შემდგომი ეტაპები**

სტუდენტებმა ჩატარებული სამუშაოს შესახებ უნდა წარმოადგინონ პრეზენტაცია. ამ პრეზენტაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება, როდესაც სხვადასხვა ჯგუფები ერთ

ძირითად თემაზე იმუშავებს და მათ შედეგებისა და დასკვნების შეჯერების საშუალება მიეცემა. დაწერილ პროექტებს სტუდენტები ერთმანეთს აჩვენებენ, უზიარებენ აზრებს, პასუხობენ ერთმანეთს შეკითხვებს. ყველაზე უფრო წარმატებული პროექტის ჩვენება შეიძლება ამ საკითხებით დაინტერესებული ფართო აუდიტორიის წინაშე (მაგალითად, სამეცნიერო კოფერენციაზე).

### **რა ტიპობრივი ხარვეზები ახლავს საკურსო პროექტებზე მუშაობას**

- იგი სრულდება ფორმალურად, რის გამოც საკითხის კვლევა პრაქტიკულად არ ხდება
- სამეცნიერო ლიტერატურის უქონლობის, ან იმის გამო რომ მშობლიური ენის გარდა სტუდენტი ვერ ფლობს სხვა ენას, მას არა აქვს შესაძლებლობა გაეცნოს საკვლევი მასალის შესახებ არსებულ ლიტერატურას
- სტუდენტს არ ვამზადებთ ამგვარი კვლევისათვის საჭირო უნარ-ჩვევების შესაძენად

და სხვ.

ამიტომ, პროექტის შესრულების პროცესში სასურველია, ლიტერატურის გაცნობის შემდეგ, სტუდენტმა მასალა გაიაზროს და უპასუხოს შემდეგ კითხვებს:

1. წაკითხული ლიტერატურა დამეხმარა გამეგო . . . .
2. წაკითხულის შესახებ გამიჩნდა შემდეგი კითხვები . . . .
3. ავტორს ვეთანხმები იმაში, რომ . . . .
4. ავტორს არ ვეთანხმები . . . .
5. კომენტარები და იდეები წაკითხულის შესახებ . . . .

წარმოდგენილი ფორმა, რასაკვირველია, შეიძლება შეიცავდეს სხვა დებულებებსაც. ეს დამოკიდებულია სასწავლო ამოცანებზე.

პროექტზე მუშაობის დასრულების შემდეგ სტუდენტმა კარგად უნდა გააცნობიეროს და უპასუხოს კითხვას:

- რა შეგძინათ პროექტზე მუშაობამ?

შეკითხვა პროექტის ხელმძღვანელს:

- რითი იყო საინტერესო საკუთრივ თქვენთვის სტუდენტებთან საკურსო პროექტზე მუშაობის პროცესი, როგორ შეაფასებდით შედეგებს?

### **პროექტის ნიმუში ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის**

შეიძლება პროექტის დანიშნულება ის იყოს, რომ სტუდენტები ჩაერთონ ცხოვრებაზე ორიენტირებულ სასწავლო აქტივობაში. ამგვარი პროექტების დიდი ნაწილი შეიძლება ეხებდეს

ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ პრობლემებს, ქალთა და ბავშვთა ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას და ა. შ.

მაგალითი: როგორ უნდა ვიცხოვროთ როგორც შეგნებულმა მოქალაქეებმა?

ა) მიზანი: მომზადდეს საგაზეთო სტატია - როგორ შეიძლება გახდეს თბილისი სუფთა ქალაქი.

ბ) აქტივობა: საპროექტო მუშაობა და საველე სამუშაო.

გ) ეტაპები:

### I ეტაპი – პროექტის შესავალი

- მასწავლებელი შესაძლოა სტუდენტებს ესაუბროს, რომ მთელი თბილისის ქუჩები, ბაზრები, საცხოვრებელი სახლების ეზოები, პარკები თუ საჯარო ადგილები სავსეა ნაგვითა და ჭუჭყით. ყველგან უსიამოვნო სუნია და ქალაქში ცხოვრება აუტანელი გახდა.
- პრობლემა: როგორ შეიძლება გავიგოთ, რას ფიქრობს ქალაქის მერია ამის თაობაზე?
- ზოგიერთმა შესაძლოა გვირჩიოს, წერილი მივწეროთ მერიას, მაგრამ, დაკავებულობის გამო, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მერია დროულად გვიპასუხებს, თუ საერთოდაც გამოგვეხმაურა.
- მაშ, რატომ არ ვეწვიოთ ერთ მშვენიერ დღეს მერიას და ინტერვიუ ვთხოვოთ თავად ქალაქის მერს? ამისათვის კი საჭიროა მომზადება, რაც ნიშნავს იმ შეკითხვების ჩამოყალიბებას, რაზეც გვსურს, რომ მან გვიპასუხოს.

### II ეტაპი – შეკითხვების მომზადება ინტერვიუსთვის

ჯგუფი შეიძლება დაიყოს 4-5 კაციან მიკროჯგუფებად. თითოეულმა უნდა მოამზადოს 8-10 შეკითხვა ერთ-ერთი სფეროს შესახებ. მაგალითად,

I ჯგუფი: სიტუაციის აღწერა. ნაგვის დაგროვება გზებსა და საჯარო ადგილებში, ნაგვის არარეგულირებული აღება, ნაგვის უადგილო ადგილას დაყრა. ჯანმრთელობისათვის საშიში მდგომარეობა.

II ჯგუფი: მიზეზები, რატომ არის ასეთი მდგომარეობა შექმნილი?

III ჯგუფი: რას აკეთებს ქალაქის მერია ამის თავიდან ასაცილებლად?

IV ჯგუფი: რას გეგმავს მერია სამომავლოდ აღნიშნული პრობლემის უფრო ეფექტურად გადაჭრის თაობაზე?

V ჯგუფი: რჩევები ქალაქის მერიას, რომ მათი მომსახურება უფრო ეფექტური გახდეს, ამაღლდეს მოქალაქეთა მოვალეობისა და პასუხისმგებლობის შეგნება ამ მიმართულებით და სხვ.

### *III ეტაპი – შეკითხვების საბოლოო სახით ჩამოყალიბება*

სტუდენტები მასწავლებელთან ერთად ჩამოაყალიბებენ შეკითხვებს. მაგალითად:

1. რა ფართობის ქალაქი თბილისი?
2. რამდენი ადამიანია დაკავებული ქალაქის დასუფთავებით?
3. ყოველდღე მუშაობენ თუ არა ისინი?
4. არსებობს თუ არა მორიგეობის სისტემა?
5. რამდენი მანქანაა გამოყოფილი ამ საქმეზე?
6. ვისი მოვალეობაა ქალაქის დასუფთავება?
7. სად გროვდება აკრეფილი ნაგავი?
8. ვინ უწევს მათ მეთვალყურეობას?
9. რამდენად მოგწონთ დასუფთავების არსებული სისტემა?
10. გაქვთ თუ არა გეგმები მომავალში პრობლემის უფრო ეფექტურად გადასაჭრელად?
11. თუ შეგიძიათ გავვიზიაროთ თქვენი მოსაზრება ამ მიმართულებით? და სხვ.

### *IV ეტაპი – მერისგან ინტერვიუს აღება*

სტუდენტები უთანხმდებიან მერს და იღებენ ინტერვიუს. ისინი ხელით გააკეთებენ ჩანაწერებს ან დიქტაფონით. ერთ-ერთი სტუდენტი ყველას სახელით მადლობას უხდის მერს. მეორემ შეიძლება ქუჩაში გადაღებული დაყრილი ნაგვის, ან სხვა სურათები აჩვენოს. შესაძლოა ინტერვიუს მსვლელობის დროს სურათების გადაღებაც.

### *V ეტაპი – პასუხების ჩამოყალიბება*

სტუდენტთა ჯგუფები წერილობით ჩამოაყალიბებენ პასუხებს და ამის მიხედვით გამოკვეთენ პრობლემას, გამოყოფენ გამომწვევ მიზეზებს და წარმოადგენენ შესაძლო საკუთარ მოსაზრებებს არსებული მდგომარეობიდან გამოსასვლელად. მასწავლებელი მათ დაეხმარება რეპორტისთვის საბოლოო სახის ფორმირებაში.

## **VI ეტაპი - საბოლოო სახე**

მაწავლებლის დახმარებით სტუდენტები საბოლოო სახეს აძლევენ წერილს და უზრუნველყოფენ რომელიმე გაზეთის რედაქტორს ან აქვეყნებენ საუნივერსიტეტო გაზეთში, აწყობენ პრეზენტაციას.

შეიძლება უნივერსიტეტში მოეწყოს ფოტო გამოფენა სათაურით: „ჩვენ გვინდა, რომ თბილისი უფრო სუფთა იყოს“.

### *მოდელირება*

#### **სიტუაციური ამოცანა**

სიტუაციური ამოცანა არის ვირტუალურ ფაქტორთა სისტემა, რომელიც ქმნის რეალურის მსგავს წარმოსახვით სიტუაციას და გამოკვეთს კონკრეტულ პროფესიულ ამოცანას. მისი მიზანია შემოწმდეს სტუდენტის უნარი, რამდენად ადეკვატურად აღიქვამს პრობლემას ან, უბრალოდ, სტანდარტულ მდგომარეობას, რომლის წინაშეც იგი შეიძლება აღმოჩნდეს როგორც სპეციალისტი.

შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული დასმული ამოცანის გადაწყვეტის სტუდენტის მიერ შემოთავაზებული სქემის რაციონალურობა, ოპერატიულობა, ეფექტიანობა, მიღებული გადაწყვეტილების შედეგების ხედვის უნარი დროის განზომილებაში, კონტექსტის (ამ შემთხვევაში ვირტუალური) გათვალისწინების უნარი და ა.შ.

სიტუაციური ამოცანები სრულდება ძირითადად წერითი ფორმით.

სიტუაციური ამოცანების გამოყენება რეკომენდირებულია არა მხოლოდ შეფასებისას, არამედ სწავლისა და სწავლების პროცესშიც. ის მეტად ეფექტური საშუალებაა პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისათვის.

პრევენციის პრინციპი მოითხოვს - ასეთი სავარჯიშოების სისტემატურად ჩატარებას სასწავლო წლის მანძილზე.

#### **სიმულაციური სიტუაცია**

სიმულაციური სიტუაცია არის ვირტუალურ და მატერიალურ ფაქტორთა სისტემა, რომელიც ქმნის რეალურთან მაქსიმალურად მიახლოებულ დინამიურ მდგომარეობას, რომლის მსგავსიც შეიძლება შეიქმნას სტუდენტის მომავალ პროფესიულ პრაქტიკაში.

სტუდენტის ამოცანაა კონკრეტულ კვაზირეალურ სივრცეში იმოქმედოს პროფესიულად გამართლებული ტაქტიკით და მიიღოს მართებული გადაწყვეტილებები.

სიმულაციური სიტუაციის მიზანია შემოწმდეს სტუდენტის პროფესიული უნარ-ჩვევების ხარისხი, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი.

შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული სტუდენტის, როგორც მომავალი სპეციალისტის მოქმედებისა და გადაწყვეტილების მიღების ადეკვატურობის ხარისხი, ოპერატიულობა, სიზუსტე, ეფექტურობა. პროფესიული მანიპულაციების (თუ ამის საჭიროებაა) შესრულების ხარისხი, ტექნიკის გამოყენების უნარი (უსაფრთხოების ჩათვლით), აკურატულობა და ა. შ.

მაგალითად, საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების უნარის შესამოწმებლად პედაგოგი წინასწარ ამზადებს ოთახს ან ოთახის გარკვეულ კუთხეს შესაბამისი რეკვიზიტებით (სავარძელი, მაგიდა, სკამები, მაგიდაზე ყავის ჭიქები – შეიძლება ერთი ძირს დაგდებული, საფერფლე, ორი ჩაუმქრალი სიგარეტი, არცთუ შეუმჩნეველ ადგილზე თმის ღერი, საწოლის ქვეშ დილი, იატაკზე დაგდებული მულაჟი თავიდან სისხლდენის იმიტაციით და სხვ).

შემდეგ გამოყოფს რამდენიმე სტუდენტისაგან შემდგარ „საგამოძიებო ჯგუფს“ და აწვდის წარმოსახვით სიტუაციას „წარმოიგინეთ ხართ პოლიციის სამმართველოში, ღამეა. მიიღეთ შეტყობინება ტელეფონით, რომ X ქუჩაზე მოხდა მკვლელობა. მიხვედით შემთხვევის ადგილზე. დაზარალებულს სიცოცხლის ნიშნები ჯერ კიდევ აქვს. დაგხვდათ ისეთი მდგომარეობა, რომელსაც ახლა ნახავთ. (შეიყვანს წინასწარ მომზადებულ ოთახში). ჩაატარეთ საგამოძიებო მოქმედება.“

ასეთი სახის სამუშაოები სისტემატურად უნდა ჩატარდეს სწავლების პროცესში. ჯერ ერთი, ამას ითვალისწინებს პრევენციის პრინციპი, მეორეც ის საგრძნობლად ზრდის მოტივაციურ ფონს, ხელს უწყობს პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებას, განამტკიცებს მიღებულ ცოდნას.

სწავლების მიზნით ამ მეთოდის გამოყენების შემთხვევაში ტექნოლოგიური სტრუქტურა ოდნავ იცვლება – შემსრულებელ ჯგუფთან ერთად გამოიყოფა დამკვირვებელთა ჯგუფი, რომელთა მიზანია დააკვირდნენ „საგამოძიებო ჯგუფის“ წევრთა მოქმედებას. პრაქტიკაში მიღებულია - შემსრულებელი ჯგუფის ყოველ წევრზე ცალცალკე ერთი ან ორი დამკვირვებლის გამოყოფა. თამაშის დამთავრების შემდეგ ორივე მათგანი გამოთქვამს თავის აზრს, განიხილება დასმული ამოცანების გადაწყვეტისათვის განხორციელებული მოქმედებები, კვთება პოზიტიური და ნეგატიური მხარეები. შემდეგ მეცადინეობაზე მხარეები იცვლება და ა. შ.

ასეთი მეცადინეობების დროს 15 სტუდენტზე მეტის მონაწილეობა არ არის რეკომენდირებული.



## **კაზუსი**

კაზუსი არის რთული შემთხვევა სამართალწარმოების პრაქტიკიდან ან შეთხზული კვაზიკოლიზიური სიტუაციიდან, რომელიც უნდა განიხილოს სტუდენტმა სამართლებრივი კუთხით და ჩამოაყალიბოს არგუმენტირებული აზრი სამართალწარმოებითი ხარვეზების არსებობის ან არარსებობის შესახებ. შესაბამისად გამოკვეთოს საკუთარი მტკიცებულება.

შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას სტუდენტის თეორიული ცოდნა, უნარი საკანონმდებლო ჭრილში განიხილოს კაზუსი და სამართალწარმოებით ნორმებთან შესაბამისობაში მოიყვანოს მოცემული სიტუაცია.

## **დირექტიული მუშაობა**

დირექტიული მუშაობა სასწავლო ქვევის ისეთი სახეა, როდესაც სტუდენტი ასრულებს გარკვეულ სამუშაოს ისე, რომ პედაგოგისგან არ იღებს არავითარ ინსტრუქციას გარდა თემის დასახელებისა. მუშაობის შედეგები შეიძლება განხილულ იქნას შემდეგი ფორმით – ა) პრეზენტაცია ბ) სამუშაოს ინდივიდუალური შემოწმება. ამ მეთოდით მოწმდება სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის, საჭირო ინფორმაციის მოძიებისა და კვლევის უნარი. ასეთი სახის დავალების მიცემა სწავლების საწყის ეტაპზე მიუღებელია. ის შეიძლება გამოვიყენოთ პროგრამის III-IV დონეებზე.

## **ლაბორატორიული სამუშაო**

ლაბორატორიული სამუშაო გულისხმობს კონკრეტული უნარის შეფასებას, რომელიც შეიძლება გამოვლინდეს როგორც საცდელი, ისე პრაქტიკული სამუშაოს შესრულებით (ვთქვათ, ჟურნალისტებისათვის წერის უნარის შემოწმება, ან საოპერატორო ხელოვნების დემონსტრირება).

სტუდენტები პედაგოგის დამოუკიდებლად ასრულებენ დავალებას ან ასისტენტის მეთვალყურეობის ქვეშ. თუ სამუშაო ცდის ჩატარებას გულისხმობს, მაშინ, აკეთებენ შესაბამის ჩანაწერებს, აანალიზებენ შედეგებს და ა. შ.

შეფასებისას ყურადღება ექცევა სტუდენტის მიერ კონკრეტული ამოცანის შესრულების, როგორც ტექნოლოგიურ ასპექტს, ისე მიღებული შედეგების ხარისხს. კერძოდ, დასკვნების მართებულობასა და არგუმენტირების უნარს, დასმული ამოცანის გადაწყვეტის ოპტიმალურობასა და ტექნოლოგიური პროცესის სიზუსტე აკურატულობას ტექნიკასთან მიმართებაში, უსაფრთხოების წესების დაცვას, ჯგუფში მუშაობის უნარს (თუ სამუშაო ჯგუფურია) და ა. შ.

ცალკეული ლაბორატორიული სამუშაოს შესრულებისათვის პედაგოგი აყალიბებს შეფასების კონკრეტულ კრიტერიუმებს და წინასწარ აცნობს სტუდენტებს.

## **პრეზენტაცია**

პრეზენტაცია არის სტუდენტის ან სტუდენტთა ჯგუფის მიერ დამუშავებული პროექტის ან სხვა სახის ნამუშევრის წარდგენა საკუთარი ჯგუფის ან უფრო ფართო წრის წინაშე. შეფასების ეს ფორმა ეფექტურია სტუდენტთა წახალისების, მოტივაციური დონის ამაღლებისა და, ზოგადად, კვლევის უნარის ხარისხის განსაზღვრისათვის.

შეფასებისას, გარდა შეფასების ზოგადი კრიტერიუმებით განსაზღვრული მონაცემებისა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აუდიტორიასთან ურთიერთობის უნარს, მასალის წარდგენის ეფექტურობას (ტექნიკური საშუალებები, თვალსაჩინოება), კვლევის ხარისხს. (სიახლის ან სიახლის ნიშნების არსებობა, მსჯელობის ორიგინალურობა და მისთ.).